საქართველოს მთავრობის

დადგენილება №202

2024 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

„შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ მიერ საქონლის შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ მიერ საქონლის შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/01/2023, 040170020.10.003.023856) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შემსყიდველის მიერ ამ წესის დანართ №1-ით განსაზღვრული საქონლის შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს ამავე წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**